

H.E. Mr. Ji Yanchi
Ambassador Extraordinary and Plenipotentiary
of the People's Republic of China to Georgia

Your Excellency,

On behalf of the Government of Georgia, I have the honor to confirm that our two sides have, through friendly consultations, reached an agreement as follows:

1. The Government of the People's Republic of China agrees to help the Georgian Government to implement the Mental Health Hospital Project, as requested by the Georgian Government. The main content of the Project includes the construction of two mental health hospitals, one in Telavi and the other one in Senaki. The building area of each hospital is around 2230 m². Each hospital includes the out-patient department, the crisis intervention department, the psychological rehabilitation service department, the in-patient department with 30 beds, offices and equipment rooms and will be provided with necessary auxiliary facilities and equipment.
2. The Chinese side is responsible for the project design; to provide construction machinery, equipment and materials; to dispatch the necessary number of engineering and technical personnel to Georgia to carry out the construction work; to provide the necessary auxiliary facilities and equipment including installation and testing. The costs and expenses of the above-mentioned should be covered with the grant stipulated under the Economic and Technical Cooperation Agreements signed on December 19, 2011, December 18, 2014 and June 3, 2016 between the Government of the People's Republic of China and the Government of Georgia.
3. The Georgian side is responsible for providing the land required for the construction of the hospitals and a piece of land for temporary use during the construction stage; removing and demolishing of all above-ground and underground obstacles within the land of the project, including buildings, plants, public utility pipes and wires and so on; to provide a gravel quarry and a soil-taken place that can provide back-fill soil for the project; construction of all municipal projects including roads, water supply, drainage, power supply, television, and telecommunication outside the line of the land of the project and to provide access to all above-mentioned to the designated positions agreed by both sides before the start-up of the project; assisting Chinese engineering and technical personnel to get Georgian visa and resident permits; assisting the Chinese side to settle formalities of custom clearance and delivery of machinery, equipment, materials required by the project and living materials of the Chinese engineering and technical personnel and ensuring all the goods above-mentioned to be exempted from all kinds of custom duties and taxes; ensuring the security of the residential area of the Chinese side and the construction site of the project; for greening within the land of the project; and so on.

Handwritten signature in blue ink

4. The related specific issues for implementing the above project shall be stipulated by an agreement signed by the relevant respective bodies designated by the Government of the People's Republic of China and the Government of Georgia.

If Your Excellency could kindly confirm, on behalf of the Government of Peoples Republic of China, the above with a letter of reply, this letter and the letter of reply from Your Excellency shall constitute an agreement between our two Governments.

Please accept, Your Excellency, the assurances of my highest consideration.

David Sergeenko

Minister of Labour, Health and Social Affairs of Georgia

გ. ბრწყინიძე

მის აღმატებულებას ბატონ ძი იანჩის

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო

და სრულუფლებიან ელჩს საქართველოში

თქვენი აღმატებულება,

საქართველოს მთავრობის სახელით, მაქვს პატივი, დაგიდასტუროთ, რომ ორივე მხარე მეგობრული კონსულტაციების თანახმად შევთანხმდით შემდეგზე:

1. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა თანხმდება, დაეხმაროს საქართველოს მთავრობას ფსიქიკური ჯანმრთელობის კლინიკის პროექტის განხორციელებაში, როგორც ეს მოთხოვნილი იყო საქართველოს მთავრობის მხრიდან. პროექტი ძირითადად მოიცავს ორი ფსიქიატრიული საავადმყოფოს მშენებლობას, ერთს თელავში და მეორეს - სენაკში. თითოეული საავადმყოფოს სამშენებლო ფართობი შეადგენს დაახლოებით 2230 კვ. მეტრს. თითოეული საავადმყოფო მოიცავს ამბულატორიულ განყოფილებას, კრიზისული ინიტერვენციის განყოფილებას, ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის მომსახურების განყოფილებას, სტაციონარულ განყოფილებას 30 საწოლზე, საოფისე და აპარატურის ოთახებს და, აღჭურვილი იქნება სათანადო დამხმარე მოწყობილობებითა და აპარატურით.
2. ჩინეთის მხარე პასუხისმგებელია პროექტის დიზაინზე; უზრუნველყოფს მშენებლობისთვის საჭირო დანადგარების, აღჭურვილობისა და მასალების მიწოდებას; საქართველოში გამოგზავნის საჭირო რაოდენობის ინჟინრებსა და ტექნიკურ პერსონალს, სამშენებლო სამუშაოების შესასრულებლად; უზრუნველყოფს დამხმარე მოწყობილობებისა და აღჭურვილობის მიწოდებას, რაც მოიცავს დამონტაჟებასა და დატესტვას. ზემოაღნიშნული სამუშაოებისთვის გაწეული ხარჯი დაიფარება 2011 წლის 19 დეკემბერს, 2014 წლის 18 დეკემბერს და 2016 წლის 3 ივნისს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის ხელმოწერილი ეკონომიკური და ტექნიკური თანამშრომლობის შეთანხმებების თანახმად გამოყოფილი გრანტით.
3. საქართველოს მხარე პასუხისმგებელია, გამოყოს მიწა საავადმყოფოების ასაშენებლად და მიწის ნაკვეთი დროებითი სარგებლობისთვის, მშენებლობის მიმდინარეობის პერიოდში; უზრუნველყოს პროექტის ტერიტორიაზე, მიწის ზედაპირზე და მიწის ქვეშ არსებული ყველა ბარიერის დემონტაჟი და სამშენებლო ობიექტის გაწმენდა, მათ შორის შენობა-ნაგებობების, მცენარეების, საზოგადოებრივი მოხმარების წყალსადენების და ელექტროსადენების და ა.შ.; პროექტისთვის გამოყოს ქვიშის კარიერი და ნიადაგ-მოხსნილი ადგილი, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას პროექტის ფარგლებში ამოღებული ნიადაგის ამოსავსებად; განახორციელოს მუნიციპალური პროექტები, მათ შორის, უზრუნველყოს პროექტის საზღვრამდე გზის გაყვანა, წყლის მიყვანა, სადრენაჟე სისტემის მონტაჟი, ელექტრომომარაგების, სატელევიზიო და ტელე კომუნიკაციების მიყვანა; და უზრუნველყოს ზემოაღნიშნული საშუალებებით სარგებლობის ხელმისაწვდომობა პროექტის დაწყებამდე მხარეთა შორის შეთანხმების შედეგად განსაზღვრული პოზიციებისთვის; დაეხმაროს ჩინელ ინჟინერებსა და ტექნიკურ პერსონალს ვიზისა და ბინადრობის ნებართვის მიღებაში;

მ. ნიქოიძე

დახმარება გაუწიოს ჩინეთის მხარეს, პროექტისთვის საჭირო მანქანა-დანადგარების, აღჭურვილობის, მასალის და ჩინელი ინჟინრებისა და ტექნიკური პერსონალის საყოფაცხოვრებო ნივთების განბაჟებასთან და შემოტანასთან დაკავშირებული ფორმალობების მოგვარებაში და უზრუნველყოს ზემოაღნიშნული ნივთების ნებისმიერი ტიპის საბაჟო გადასახდელებისა და გადასახადებისაგან გათავისუფლება; უზრუნველყოს ჩინეთის მხარის საცხოვრებელი ტერიტორიისა და პროექტის სამშენებლო ობიექტის უსაფრთხოება; ტერიტორიის გამწვანება პროექტის მიწის ფართობზე; და ა.შ.

4. ზემოაღნიშნული პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული კონკრეტული საკითხები განისაზღვრება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობისა და საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრულ შესაბამის კომპეტენტურ ორგანოებს შორის ხელმოწერილი შეთანხმების საფუძველზე.

თუ თქვენს აღმატებულებას, შეუძლია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის სახელით დაგვიდასტუროს ზემოაღნიშნული, საპასუხო წერილით, წინამდებარე წერილი და თქვენი საპასუხო წერილი ჩაითვლება როგორც შეთანხმება ორ მთავრობას შორის.

თქვენო აღმატებულებავ, გთხოვთ მიიღოთ ჩემი თქვენდამი ღრმა პატივისცემა.

დავით სერგეენკო

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი

მ. ნიკოლიაშვილი